

„გადაუდებელი დახმარების ჩანთა“

1. აღნიშნული დანართი განსაზღვრავს ფარმაცევტული პროდუქტების ნუსხას - „გადაუდებელი დახმარების ჩანთის“ ავტორიზებული აფთიაქისა და აფთიაქისათვის (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტისათვის), რომლებიც პაციენტებისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, ექვემდებარება ფორმა №3 რეცეპტის გარეშე გაცემას.*

2. პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას, „გადაუდებელი დახმარების ჩანთით“ განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის მოძიებისთვის გაცემა არ განიხილება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევად და შესაბამისად, არ წარმოადგენს ამავე კანონის 374 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

3. „გადაუდებელი დახმარების ჩანთა“ მოიცავს შემდეგ ფარმაცევტულ პროდუქტებს:

№	საერთაშორისო დასახელება	ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა	ფარმაკო-თერაპიული ჯგუფი	შენიშვნა
1	amiodarone	ტაბლეტი	ანტიარითმიული საშუალება	
2	Atropine	ი.ვ. ი.მ. და კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი	მ-ქოლინობლოკატორი (სპაზმოლიზური საშუალება)	
3	captopril	ტაბლეტი	აგვ ინჰიბიტორი, (წნევის დამწევი საშუალება)	
4	Dexamethasone	ი.ვ., ი.მ. საინექციო ხსნარი; ტაბლეტი	გლუკოკორტიკოსტეროიდი ჰორმონალური საშუალება (ანაფილაქსიის საწინააღმდეგო საშუალება)	
5	Diphenhydramine	ი.ვ. და ი.მ. საინექციო ხსნარი	სისტემური მოქმედების ანტიჰისტამინური საშუალება (ანტიალერგიული საშუალება)	
6	Epinephrine (Adrenaline)	ი.ვ. ი.მ. და კანქვეშ საინექციო ხსნარი	ადრენომიმეტიური საშუალება (ანაფილაქსიური შოკის საწინააღმდეგო საშუალება)	
7	Furosemide	ი.ვ., ი.მ. საინექციო ხსნარი, ტაბლეტი	დიურეზული საშუალება (ძლიერი და სწრაფი მოქმედების შარდმდენი საშუალება)	
8	Glibenclamide	ტაბლეტი	სულფანილმარდოვანას წარმოებული (პერორალური ანტიდიაბეტური საშუალება)	

9	Glucose	40 % ი.ვ. საინექციო ხსნარი	ნახშირწყლოვანი ცვლის მაკორეგირებელი საშუალება (ჰიპოგლიკემიის საწინააღმდეგო)	
10	Insulin	კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი	დიაბეტის სამკურნალო საშუალება	
11	Metformin	ტაბლეტი	პერორალური ჰიპოგლიკემიური საშუალება (ანტიდიაბეტური საშუალება)	
12	Metoprolol	ტაბლეტი	ბეტა-1 სელექტიური ადრენობლოკატორი (წნევის დამწევი საშუალება)	
13	Nifedipine	ტაბლეტი, დრაჟე	კალციუმის არხების ბლოკატორი (წნევის დამწევი საშუალება)	
14	Prednisolone	ი.ვ. და ი.მ. საინექციო ხსნარი, ტაბლეტი	ჰორმონალური საშუალება გლუკოკორტიკოსტეროიდი (ანაფილაქსიური შოკის, ალერგიული რეაქციების სამკურნალო და ბრონქული ასთმის შეტევის კუპირების საშუალება)	
15	Salbutamol (Albuterol)	აეროზოლი	ბეტა-ადრენომიმეტიური საშუალება (ბრონქული ასთმის შეტევის კუპირების საშუალება)	1 სტანდარტული შეფუთვა
16	Nitroglycerin	ტაბლეტი	ანტიანგინალური საშუალება (სტენოკარდიული შეტევის კუპირების საშუალება)	1 სტანდარტული შეფუთვა